*დამტკიცებულია ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური*
*საბჭოს სხდომაზე.(ოქმი №18, 17.04.07.)*
*აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,*

*რექტორი, პროფ. ვლ. ბალაძე*

# შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დებულება

1. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება დაწესდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე იმ პირთა განსაკუთრებული დამსახურების აღიარების ნიშნად, რომლებმაც თავისი საქმიანობით ან ქმედებით ხელი შეუწყვეს უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას და კეთილდღეობის ზრდას.

2. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭებათ უცხოეთის და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერებს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, ბიზნესმენებს, კულტურისა და განათლების მუშაკებს. საპატიო დოქტორის წოდება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელიც კანდიდატურის წამოყენების მომენტში არ მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას იმ პირისათვის, რომელსაც ადრე ეჭირა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა).

3. კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს. წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭოს უმრავლესობა. საპატიო დოქტორის კანდიდატურის წამოყენების უფლებით სარგებლობს აგრეთვე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც კანდიდატურას უშუალოდ წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. კანდიდატები წინასწარ შეფასებას გადიან აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილ ექსპერტთა კომისიაზე, რის შემდეგაც წოდების მინიჭების საკითხს განიხილავს და წყვეტს აკადემიური საბჭო კანდიდატურის წამოყენებიდან 2 კვირის ვადაში.

4. საპატიო დოქტორს დიპლომის გადაცემა ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე, საზეიმო ვითარებაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში დიპლომის გადაცემა შეიძლება მოხდეს საპატიო დოქტორის ქვეყანაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დელეგირებული წევრის მიერ.

5. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი სარგებლობს უნივერსიტეტის ყოველმხრივი თანადგომით, მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იგი შეიძლება დაესწროს აკადემიური საბჭოს სხდომებსაც.

6. საპატიო დოქტორის სახელი, მისი ქვეყანა, ტიტულები, წოდება და მინიჭების თარიღი ჩაიწერება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორთა წიგნში და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. წიგნში, რომელიც ინახება რექტორთან, საპატიო დოქტორისათვის გამოყოფილი იქნება ცალკე გვერდი მისი დამსახურების აღნიშვნით, ავტოგრაფით, ფოტოსურათითა და, საპატიო დოქტორის თანახმობის შემთხვევაში, ჩანაწერით.